წერილის ნომერი: **18-01202103283**
თარიღი: **28/07/2020**
პინი: **2948**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური") განიხილა თქვენი 2019 წლის 15 ივლისის #60-01201972755 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ სოლომონ ფიცხელაურის მიერ გაცემული მწვანე ნარგავების საექსპერტო დასკვნა, მცენარეების ფოტომასალა, ტოპო. გეგმა, საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა, განმარტებითი ბარათი), რომლითაც მოქალაქე თორნიკე მახათაძის განაცხადის (AR1748598) საფუძველზე მოთხოვნილია, შპს ,,Bolero & Company" -ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ N5; ს.კ.: 01.15.03.018.018)(სსზ-2; შიდა კვარტალური ურბანული გამწვანება) IV კლასის შენობა-ნაგებობის (სასტუმრო) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ტოპო. გეგმის, საექსპერტო დასკვნის) შესაბამისად დგინდება, რომ დაინტერესებული პირის მიერ დაგეგმილია ჯანსაღი 1 ძირი დიდი დიამეტრის მქონე N8 ჰორიზონტალური კვიპაროსის -58.5სმ ხის მოჭრა.

გაცნობებთ, რომ დიდი დიამეტრის (25 სანტიმეტრზე მეტი) მქონე მრავალწლოვანი ეგზემპლარის ბუნებრივი გარემოდან ამოღება და ახალ ტერიტორიაზე გადატანა დაკავშირებულია ახალ გარემოსთან ადაპტაციასთან, რაც მომავალში **(ხის ზომიდან გამომდინარე)** გამოიწვევს მწვანე ნარგავის სიცოცხლისუნარიანობის შეწყვეტას/გახმობას. ჯანსაღ მრავალწლოვან ხეებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ქალაქის ეკოსისტემის განვითარებაში. მათ ასევე დადებითი გავლენა აქვთ ჰაერის შემადგენლობაზე, მათ სისუფთავესა და იონიზაციის პროცესზე. მწვანე ნარგავები ხელს უწყობენ ქალაქის გარემოს გაჯანსაღებას; ამასთან, სამსახურისათვის პრიორიტეტულია ტერიტორიაზე ჯანსაღი, მცენარეული საფარის შენარჩუნება მაღალპროდუქტიული კორომების განვითარების მიზნით, განსაკუთრებით, ისეთ ტერიტორიაზე, რომლის მიმდებარედაც აქტიური საავტომობილო მოძრაობაა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის" (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება") საფუძველზე და ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია **უცვლელად შენარჩუნდეს 1 ძირი დიდი დიამეტრის (25სმ-ზე მეტი) მქონე ჰორიზონტალური კვიპაროსის ხე დიამეტრით 58.5სმ.**

აქვე დავძენთ, რომ დადგენილების 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და აღნიშნულ მცენარეს შორის დაცული უნდა იყოს **3 მეტრით.**

ასევე მოგახსენებთ, რომ ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა. თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გრაფიკული რუკის თანახმად და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნულ საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე (ს.კ.: 01.15.03.018.018) **ვრცელდება თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (შიდა კვარტალური ურბანული გამწვანება)** ამავე დადგენილების პირველი მუხლის „ბ" პუნქტით დამტკიცებული გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 68-ე მუხლის თანახმად, თბილისის

გამწვანებული ტერიტორიების რუკა დედაქალაქის გამწვანებული ტერიტორიების დაგეგმარების რუკაა, რომელზეც დატანილია მონაცემები ქალაქის ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი მწვანე ან/და სარეკრეაციო ზონებისა და არეალების შესახებ. **აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი, სამსახურს, მათი სამშენებლოდ განვითარება, ასევე მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა, მიზანშეწონილად არ მიაჩნია.**

ამდენად, სამსახური მას შემდეგ დააფიქსირებს პოზიციას, როდესაც დაინტერესებული პირი, ზემოაღნიშნული პირობების შესაბამისად დააკორექტირებს პროექტს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 6 20 01786511

03/08/2020

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)(მოვალეობის შემსრულებელი)
ბატონ **ლუკა ცხადაიას**

ბატონო ლუკა,

თქვენი 2020 წლის 29 ივლისის N 60-01202112502 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, მელიქიშვილის ქუჩა N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.03.018.018) ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის **2020 წლის 20 ივლისის N MIA 6200 1655589** წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები **შეესაბამება** სახანძრ ო უსაფრთხოების მოთხოვნებს, მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს ჩვენს მიერ მოთხოვნილი, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები, რომელთა პროექტები **სამი თვის ვადაში** წარმოდგენილი უნდა იქნას განსახილველად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge